სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 მარტი, 2026 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 07-01/14

,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის **№07-01/16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის №07-01/41 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 24 მარტის სხდომის №07-02/03 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის №07-01/16 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილების №1 დანართში **(წესის):**

ა) მე-2 პუნქტის 2.2. ქვეპუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ,,ა“ კატეგორია - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისაც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ბსუ-სთან (ბსუ-ში ეწევა მხოლოდ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად), ხოლო **,,ა1“ კატეგორია** - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისაც **ძირითადი** შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა **აქვს ბსუ-სთან** (ასრულებს ამ წესით სამეცნიერო თანამდებობის პირის შრომითი დატვირთვის ,,ა“ კატეგორიისათვის განსაზღვრულ სამუშაოს, დამსაქმებლის სამართლებრივი აქტით დადგენილი სამუშაო განრიგის და შინაგანაწესის შესაბამისად), მაგრამ **შეთავსებით დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში** (ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობით, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ხელს არ უშლის ბსუ-ში შრომითი დატვირთვის შესრულებას).“;

ბ) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირის მიერ ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის დაკავების ან საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვევის შემთხვევაში, აკადემიური დატვირთვის კატეგორია/საათობრივი დატვირთვის ზღვრული ოდენობა განესაზღვრება ,,ბსუ-ს აფილირების წესის" შესაბამისად.

7. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელიც ამავდროულად არის ეროვნული ან/და სხვა საგრანტო პროექტის მონაწილე ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი (მენეჯერი, ხელმძღვანელი, მკვლევარი) ან მოიპოვებს ინდივიდუალურ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტს, სტიპენდიას ან სხვა გრანტს (მათ შორის სადოქტორი, პოსტ-სადოქტორო), რომელიც ითვალისწინებს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში (უნივერსიტეტში/ინსტიტუტში) საქმიანობის განხორციელებას, **უფლებამოსილია არაუმეტეს ერთი წლის ვადით გაემგზავროს** ქვეყნის გარეთ შესაბამის დაწესებულებაში სამეცნიერო აქტივობის შესასრულებლად (შემდეგში - ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობა), <u>თუმცა ვალდებულია შეასრულოს</u> ბსუ-ში შესაბამისი ინსტიტუტის განყოფილების სამეცნიერო თანამდებობის პირისათვის განსაზღვრული სამუშაო გეგმა (ამ გეგმის შესრულების მიზნით უნდა შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის/სამეცნიერო განყოფილების უფროსის და ბსუ-ს მართვის ორგანოთა მოთხოვნები (მათ შორის მიმდინარე ანგარიშების/სამეცნიერო ანგარიშის წარდგენის თაობაზე), ასევე ინდივიდუალური/ეროვნული/საერთაშორისო საგრანტო პროექტებით ნაკისრი ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობის პერიოდში ბსუ-ში მისაღები შრომის ანაზღაურება განისაზღვრება დასაქმებულის მიერ დაკავებული სამეცნიერო თანამდებობისათვის ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ოდენობის 1/2-ით. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირმა ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით შესაძლოა ისარგებლოს ბსუ-ში შრომითი საქმიანობის პერიოდში 5 (ხუთ) წელიწადში ერთხელ (შესაძლოა ისარგებლოს მოკლევადიანი პერიოდით, ნაწილ-ნაწილ, მაგრამ ჯამში არაუმეტეს 12 თვე). ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობის პერიოდში ამ წესის ან/და ბსუ-ს უფლებამოსილი პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შესაძლოა ინიცირებული იქნეს საკითხი, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გაუქმების და საერთაშორისო მობილობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე".

2. გადაწყვეტილება და ასევე კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესი" გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რექტორს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო პერსონალს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**